



## გორის მუნიციპალიტეტის

### საკრებულო

#### განკარგულება № 208

2023 წლის 10 ნოემბერი  
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2022 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2022 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2022 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 120 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

## ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის

### ა ნ გ ა რ ი შ ი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №10 დადგენილებით, რომლის შესაბამისადაც სამსახურის შემადგენლობაში შედის შვიდი მეორადი სტრუქტურული ერთეული, ხოლო მერიის საშტატო ნუსხის შესაბამისად სამსახური შედგება 43 საშტატო ერთეულისაგან.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის განყოფილებებია:

1. საქმიანობების განყოფილება;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
3. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
4. შესყიდვების განყოფილება;
5. იურიდიული განყოფილება;
6. მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება;
7. მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება;

### საქმისწარმოების განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება შედგება 14 საშტატო ერთეულისაგან, განყოფილება მის საქმიანობას ანხორციელების სამსახურის დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების მიზანია გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების რაოდენობის შემცირება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა, მმართველობითი აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება.

საქმისწარმოების განყოფილება ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვა ხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დანერგილი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამით (MSDA). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი (საბჭო)“ განაცხადებს იღებს პროგრამით „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემები“ (MMS), რომელიც ინტეგრირებულია MSDA-სთან. აღნიშნული ხელს უწყობს უფრო კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას და პროგრამული მუხლების ხარჯვით ნაწილში იძლევა კონტროლის საშუალებას.

საქმისწარმოების განყოფილებაში დასაქმებულია განყოფილების ხელმძღვანელი და 12 საჯარო მოხელე. საქმისწარმოების განყოფილება აერთიანებს მომსახურების გარე და შიდა სივრცეს. მოქალაქეთა მიღებას, კონსულტაციას და განცხადებების რეგისტრაციას გარე სივრცეში ნაკადის მოსაწესრიგებელი ელექტრონული სისტემის (რიგის აპარატი) დახმარებით უზრუნველყოფს 6 ოპერატორი.

ყველა სპეციალისტი სამუშაო აღწერილობით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად არეგისტრირებს შემოსულ კორესპონდენციას, გადასცემს შესაბამის სამსახურს, აკონტროლებს ვადებს, აფორმირებს საფოსტო გზავნილებს, აკონტროლებს კორესპონდენციის შინაარსებს და ადრესატებს, არეგისტრირებს მერიის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@gori.gov.ge, ასევე პროგრამულად შემოსულ კორესპონდენციას და აგზავნის პასუხებს. განყოფილება ყოველთვიურად წარუდგენს სტატისტიკურ მონაცემებს კორესპონდენციის შესახებ მერს.

რაც შეეხება შიდა სივრცის ოპერატორებს, ისინი ასრულებენ ბევრ ისეთ დავალებებს, რაც არ ჩანს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში და შეუძლებელია ამ სამუშაოების სტატისტიკაში ასახვა. ესეთია: მიღებული დოკუმენტაციის დახარისხება, ქრონოლოგიურად დალაგება, საქმეებში ჩალაგება, გასული წლების საქმეების წიგნებად აკინძვა და დაწესებულების არქივში განთავსება, შენახვის ვადა გასული დოკუმენტაციის საქართველოს ეროვნული არქივისათვის გადაცემა, საფოსტო გზავნილების ფორმირება, დაბრუნებული გზავნილების გადამოწმება (შემსრულებლისათვის შეტყობინება), კანცელარიის ცხელ ხაზზე შემოსული ზარების მიღება-რეაგირება, ელ-ფოსტაზე შემოსულ შეტყობინებების მიღება-რეაგირება, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება.

მიმდინარე წელს გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებულ 7 ა(ა)იპ-ში დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და მათ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილება აქტიურად უწევს ტექნიკურ დახმარებას. ეს ორგანიზაციებია:

1. გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური;
2. გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო;
3. გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო;
4. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო;
5. გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო;
6. გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო;
7. გორის მუნიციპალური ინსპექცია.

2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით გორის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია:

1. შემოსული კორესპონდენცია MSDA პროგრამით – 24405, აქედან: პროგრამულად - 8485, ხოლო მატერიალურად და ელ-ფოსტით - 15920;
2. შემოსული კორესპონდენცია მმს პროგრამით სოციალურ საკითხებზე - 5547;
3. შემოსული კორესპონდენცია მმს პროგრამით მთის სტატუსზე - 2070;
4. გასული კორესპონდენცია - 21722;
5. ბრძანება საერთო-საორგანიზაციო და საკადრო საკითხებზე - 16743;

6. შიდა კორესპონდენცია - 21817;

რაც შეეხება კონკრეტულად საქმისწარმოების განყოფილებას - დოკუმენტბრუნვის მოდულში მიღებული და დამუშავებული აქვს შემდეგი დოკუმენტები:

1. შემოსული კორესპონდენცია MSDA პროგრამით - 88;
2. შიდა კორესპონდენცია MSDA - 122;
3. პირადი დოკუმენტები MSDA - 82;
4. გასული კორესპონდენცია MSDA - 70;
5. MMS პროგრამაში მიღებული დავალებები - 9463.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სს „ლიტერა+“-სთან ხელშეკრულების საფუძველზე საქმეების წიგნებად შეკერვის მომსახურება.

### **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება შედგება 4 სამტატო ერთეულისგან, განყოფილება მის საქმიანობას ანხორციელებს სამსახურის დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

განყოფილების მიერ 2022 წლის დეკემბრის თვეში მომზადდა გორის მერის ანგარიში - ვლადიმერ ხინჩიგაშვილმა მერის რანგში საზოგადოებას პირველი ანგარიში წარუდგინა.

გორის მუნიციპალიტეტის მერმა 2022 წელს მერიის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ, სპორტულ, ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო პროექტებზე და პროგრამებზე ისაუბრა.

2022 წლის დეკემბერს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ დააორგანიზა ხანდაზმულებისთვის საახალწლო ვახშამი - ვახშამს სხვადასხვა ორგანიზაციის ბენეფიციარები და სოციალურად შეჭირვებული 100 - მდე მოხუცი ესწრებოდა.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფდა გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და აღნიშნული უწყების თანამდებობის პირების საქმიანობის საჯაროობას.

სტრუქტურული ერთეული თანამშრომლობდა მედია საშუალებების წარმომადგენლებთან.

საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, განყოფილების მიერ იგეგმებოდა უწყების ხელმძღვანელი პირების, ასევე თანამშრომლების ინტერვიუები და მათი სატელევიზო გადაცემებში სტუმრობა.

2023 წლის განმავლობაში განყოფილების მიერ მიწოდებული 300 - ზე მეტი ინფორმაცია გამოქვეყნდა სოციალურ მედიასაშუალებების მიერ.(ინფორმაციები მიეწოდებოდა მედიასაშუალებებს, ყოველდღიურ რეჟიმში, ინფორმაციები ქვეყნდება საინფორმაციო სააგენტოებზე, ინტერპრესნიუსი და სხვა.) და ვიდეოსიუჟეტი (100 - მდე ერთეული).

გარდა ამისა, განყოფილების თანამშრომლები ოპერატიულად პასუხობდნენ უწყების საქმიანობის შესახებ საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს და უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას (24 საათის განმავლობაში).

განყოფილება აქტიურად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციას. განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი (საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი) ამუშავებს და გასცემს საჯარო ინფორმაციას.

სტრუქტურული ერთეული ადმინისტრირებას უწევდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა (gori.gov.ge) და ოფიციალურ გვერდებს (facebook.com; youtube.com) სოციალური ქსელებში.

სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თემატური შეხვედრების ორგანიზებას და მერიის ოფიციალური ღონისძიებების ორგანიზების პროცესს. იგეგმებოდა სხვადასხვა სახის აქტივობები, დასუფთავების აქციები და სხვა.

მიმდინარე წლის განმავლობაში ინტენსიურად ხორციელდებოდა მედია მონიტორინგი, მუშავდებოდა კორესპონდენციები.

იქმნებოდა და გრძელდება როგორც პრესრელიზების, ასევე ფოტო და ვიდეო არქივი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ მიმდინარე წელს დაარგანიზა გორში ორი ქვეყნის (ლიტუვა - უთენა; პოლონეთი - ოჟიში) ოფიციალური დელეგაციების სტუმრობა.

განყოფილების მიერ უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე ჩაშენდა 6 ახალი ორენოვანი მოდული (მოდულები: სოფლის მეურნეობა, ბიზნეს სექტორი, ენერგეტიკა, ტურიზმი, საინვესტიციო წინადადება). ახალი მოდულების ჩაშენების მიზანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე დაინტერესებული მხარეებისთვის მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობების გაცნობა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განყოფილების ყველა თანამშრომელი ასრულებდა ხელმძღვანელების დავალებებს, უზრუნველყოფდა მოქმედი კანონმდებლობითა და მერიის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

### **ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება შედგება 4 სამტატო ერთეულისგან,

განყოფილება მის საქმიანობას ანხორციელების სამსახურის დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

როგორც მოგეხსენებათ, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის მუშაობაზე და კონკურსების ჩატარების ორგანიზებაზე, არსებული კანონმდებლობის მიხედვით პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას. HR განყოფილების ორგანიზებით 2022 წლის დეკემბრიდან დღემდე საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა 25 ვაკანსიაზე, აქედან 7 შიდა, 18 ღია კონკურსი.

HR განყოფილების მიერ მიმდინარე წელს განხილულია და შესრულებული შემოსული კორესპონდენციები, დანიშვნა-განთავისუფლების ბრძანებები, ასევე სამივლინებო, საავადმყოფო ფურცელზე გადასვლა-დაბრუნებისა და ფუნქცია-მოვალეობების დაკისრების შესახებ ბრძანებები. ყოველ სამ თვეში ერთხელ ხორციელდება ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებების ვადის გაგრძელება;

HR განყოფილება წარმატებით თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, თანამდებობის პირების დანიშვნა - განთავისუფლებებისა და ხელშეკრულებით აყვანილი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით.

HR განყოფილების ორგანიზებით განახლებულია და გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული, მერიაში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობები, რაც ნათლად ასახავს თვითოეული საჯარო მოხელისათვის დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნული სამუშაო აღწერილობები კადრების ცვლილებისა თუ, გადინება - შემოდინების შემდგომ მუდმივად საჭიროებს ცვლილებას, რაზეც ასევე პასუხისმგებელია HR განყოფილება.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, HR განყოფილების ორგანიზებით ხორციელდება პროფესიული საჯარო მოხელეთა წლიური შეფასება, რომლის შედეგებიც ასახულია თითოეული საჯარო მოხელის შეფასების ოქმში და კონფიდენციალურად ინახება HR განყოფილებაში. აქვე გაცნობებთ, რომ ხორციელდება შუალედული შეფასებები, რომელიც ცოცხალი პროცესია კონკურსის შედეგად დანიშნულ საჯარო მოხელისათვის ერთი წლის განმავლობაში.

HR განყოფილებაში მომზადებულია და მუდმივი განახლების პროცესშია ელექტრონული ბაზები, როგორც საკადრო ასევე პერსონალური ინფორმაციის შემცველობით. ასევე ამ წელს პირველად შეიქმნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეების პირადი საქმეების ელექტრონული ბაზები;

HR განყოფილებაში ხორციელდება სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა. ყოველი წლის შემოდგომა-გაზაფხულზე მუშავდება სავალდებულო კვოტები და მიეწოდება საჯარო სამსახურის ბიუროს.

2021 წლის მაისის თვეში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა სტაჟირების წესი „გორის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, რის საფუძველზე და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების

კოორდინირებით სტაჟირება გაიარა სამმა პირმა, რომელთაც მიეცათ ცნობები სტაჟირების გავლის დადასტურების ნიშნად.

HR განყოფილების ორგანიზებით ყოველ წელს მტკიცდება პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რის შედეგადაც ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების გადამზადება. 2022 წლის დეკემბრიდან დღემდე აღნიშნული გეგმით მოხდა 30 საჯარო მოხელის კვალიფიკაციის ამაღლება.

HR განყოფილება ყოველთვიურად უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევისა და ფიტ პასით სარგებლობის ორგანიზებას, რომელიც მუდმივად საჭიროებს ცვლილებას;

HR განყოფილება თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს შემდეგი ელექტრონული პროგრამებითა თუ გვერდებით:

MS DOC - ელექტრონული მართვის სისტემა

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

HR.GOV.GE - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული გვერდი.

### შესყიდვების განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილება შედგება 6 საშტატო ერთეულისგან, განყოფილება მის საქმიანობას ახორციელებს სამსახურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2022 წლის დაკემბრიდან განვლილ პერიოდში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

2022 წლის დაკემბრიდან განვლილ პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული იქნა:

- გამარტივებული შესყიდვა:

გაფორმებულია 110 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 2 421 823,69 (ორი მილიონ ოთხას ოცდაერთი ათას რვაას ოცდასამი) ლარი.

- კონსოლიდირებული ტენდერი:

გაფორმებულია 28 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 2 269 261,25 (ორი მილიონ ორას სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაერთი) ლარი.

- ელექტრონული ტენდერი;

გამოცხადებულია 174 ელექტრონული ტენდერი სავარაუდო ჯამური ღირებულებით - 36 685 335,70 (ოცდათექვსმეტი მილიონ ექვსასოთხმოდახუთი ათას სამას ოცდათხუთმეტი) ლარი აქედან:

- გაფორმდა 127 ხელშეკრულება, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულებამ ჯამში შეადგინა - 27 091 335 (ოცდაშვიდი მილიონ ოთხმოდათერთმეტი ათასი) ლარი;
- ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებულია ეკონომია - 1 771 002 (ერთი მილიონ შვიდას სამოცდათერთმეტი ათას ორი) ლარი;
- არ შედგა - 22 ტენდერი;
- შეწყვეტილია - 5 ტენდერი;
- დასრულებულია უარყოფითი შედეგით- 14 ტენდერი.
- პროცესშია - 6 ტენდერი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ, 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად გაფორმდა 265 (ორას სამოცდახუთი) ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 31 782 419,98 (ოცდათერთმეტი მილიონ შვიდას ოცხმოდაორი ათას ოთხას ცხრამეტი) ლარი.

#### საანგარიშო პერიოდში:

**არ შედგა 22 (ოცდაორი) ტენდერი** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „არ შედგა – ტენდერის სტატუსი, რომელიც ელექტრონულ ტენდერს ავტომატურად ენიჭება სისტემის მეშვეობით, მას შემდეგ, რაც ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“ და ამ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არც ერთ პრეტენდენტს არ მიუღია, ასევე, ელექტრონული ტენდერის ამ წესის 41-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ჩატარების შემთხვევაში, მასში მონაწილეობა არ მიუღია ხუთ პრეტენდენტს მაინც“.

**შეწყდა 5 (ხუთი) ტენდერი** - შეწყვეტილი ტენდერის შესაბამის ოქმებში, რომელიც ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც ირკვევა რომ ტენდერი შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ტექნიკური უზუსტობების გამო.

**ტენდერის სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მიენიჭა 11 (თერთმეტი) ტენდერს** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „დასრულებულია უარყოფითი შედეგით – ტენდერის სტატუსი, რომელიც ელექტრონულ ტენდერს ავტომატურად ენიჭება სისტემის მეშვეობით, მას შემდეგ, რაც ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტი ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე ან ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტი მიიღებს დისკვალიფიკაციას, ასევე, ელექტრონული ტენდერის ამ წესის 41-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ჩატარების შემთხვევაში, ელექტრონულ



ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე სატენდერო წინადადებაზე უარის თქმის გამო ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა რიცხვი ნაკლებია ხუთზე ან შერჩევა-შეფასების შედეგად ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში არ იქნა დაშვებული ორი პრეტენდენტი მაინც“.

### იურიდიული განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მიზანია გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. იურიდიული განყოფილების შემადგენლობაში დღეის მდგომარეობით შედიან მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი და 5 საჯარო მოხელე.

იურიდიული განყოფილება 2022 წლის დეკემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე (შემდგომში „საანგარიშო პერიოდი“) ახორციელებდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. აღნიშნულ პერიოდში განყოფილება უზრუნველყოფდა მერის (კანონისმიერი წარმომადგენლის) მიერ გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, მერიის ინტერესების დაცვას მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოებში; ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარის, მე-3 პირის სტატუსით მონაწილეობას, შესაბამისი სარჩელის (განცხადების, შუამდგომლობის), შესაგებლის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შეგებებული სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, კერძო საჩივრების და საჩივრების მომზადებას და წარმოებას საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში. გადაწყვეტილებების (განჩინებების) გასაჩივრების, სარჩელის ან სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ცნობის შესახებ, ასევე სასამართლოს მიერ შეთავაზებული მორიგების პირობების მარწმუნებლისათვის გაცნობას და სავარაუდო შედეგების განმარტებას, მარწმუნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვას საერთო სასამართლოების სიტემაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების და შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვას, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადაგზავნას სააღსრულებო წარმოების დასაწყებად, მონაწილეობას გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დაწყებულ წარმოებაში. ამ მიზნით იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფდა მერიის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ ფუნქციონირებას; იურიდიული განყოფილება შეისწავლიდა და უზრუნველყოფდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ახორციელებდა მათ ვიზირებას; ამზადებდა სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების (ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) პროექტებს (დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებები, წერილები და სხვა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ახორციელებდა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების პროექტების მომზადებას. უზრუნველყოფდა მერიის იურისდიქციას დაქვემდებარებული სამსახურებისა და გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების იურიდიულ კონსულტირებას, კომუნიკაციას გარე ორგანიზაციებთან ზემდგომი

თანამდებობის პირის დავალებით. ახორციელებდა გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შექმნას, მათში ცვლილებების შეტანასა და სარეგისტრაციოდ წარდგენას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერ მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ საფუძველზე მოქალაქეებზე გასცემდა საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობებს. საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილება ჩართული იყო გორის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი, კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიების, საბჭოებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის ისეთი მუდმივმოქმედი კომისიების/სამუშაო ჯგუფების/საბჭოების მუშაობაში, როგორცაა: პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, გორის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ნაწილის შესახებ არსებული რაოდენობრივი ინფორმაცია.

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA“-ს მეშვეობით საანგარიშო პერიოდში იურიდიულ განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით 655 (ექვსას ორმოცდათხუთმეტი) შემოსული კორესპონდენცია და 1284 (ათას ორას ოთხმოცდაოთხი) შიდა წერილი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი). შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე ან/და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იურიდიული განყოფილების მიერ შესრულებულია 494 (ოთხას ოთხმოცდაათხუთმეტი) გასული პასუხის პროექტი, 300 (სამასი) შიდა კორესპონდენცია და 358 (სამას ორმოცდათვრამეტი) ბრძანების პროექტი. გარდა იურიდიული განყოფილების მიერ შექმნილი აღნიშნული დოკუმენტებისა, განყოფილების მიერ ხორციელდება დამატებით სხვა სამსახურების მიერ შექმნილი დოკუმენტების (გარდა შიდა დოკუმენტაციისა) შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში შესწორება და ვიზირება. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA“-ს მეშვეობით განხორციელდა 19829 (ცხრამეტი ათას რვაას ოცდაცხრა) დოკუმენტის პროექტის შესწავლა და ვიზირება.

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერ მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად გაცემულია 12 (თორმეტი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ან/და გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურების მომართვის საფუძველზე იურიდიული განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში შექმნილია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის

დასამტკიცებლად წარდგენილია 35 (ოცდათხუთმეტი) საკრებულოს დადგენილების პროექტი და 73 (სამოცდაცამეტი) საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება ჩართული იყო მხარედ (მოსარჩელედ ან მოპასუხედ) 106 (ას ექვსი) სასამართლო დავაში (სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში), აქედან, დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარეობს (ამ დროისათვის არ დასრულებულა) 69 (სამოცდაცხრა) სასამართლო დავა, ხოლო 37 (ოცდაჩვიდმეტი) სასამართლო დავა დასრულებულია. მითითებული 106 (ას ექვსი) დავიდან გორის მუნიციპალიტეტის მერია მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს/წარმოადგენდა 43 (ორმოცდასამი) სასამართლო დავაში და მოპასუხე მხარეს წარმოადგენს/წარმოადგენდა 63 (სამოცდასამი) სასამართლო დავაში. ზემოაღნიშნული, დასრულებული 37 (ოცდაჩვიდმეტი) სასამართლო დავიდან 2 (ორი) დავა დასრულდა ნაწილობრივ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო 35 (ოცდათხუთმეტი) დავა სრულად გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების სასარგებლოდ.

მოკლე ინფორმაცია 2022 წლის დეკემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე სასამართლოებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით იხილეთ დანართი 1-ის სახით.

**მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება** გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის

მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება შედგება 6 საშტატო ერთეულისგან, განყოფილება მის საქმიანობას ანხორციელების სამსახურის დებულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება ანხორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, 2023 წლის მეოთხე კვარტლის შესაბამისად.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილებამ აღნიშნულ პერიოდში განახორციელა საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, დაცვის მომსახურება(ფერადის #5 სტალინის #16, გორის ციხე), კომუნალური მომსახურება. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის, ეზოს ფართის და შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავება, სანიტარული მომსახურება.

შენობაში არსებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, შიდა და გარე ელექტრო-სისტემების, გაგრილების, ვენტილაციის, გათბობის, წყალმომარაგების, კანალიზაციის /სან-კვანძების სისტემების, გენერატორის და შიდა ინტერიერის სამუშაოები. სასმელი წყლით მომარაგება, საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენელთა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, ინტერნეტ, სატელეფონო და სატელევიზიო მომსახურებები. მერიის ადმინისტრაციული ერთეულებში განხორციელდა ინტერნეტიზაცია. საკანცელარიო ნივთებით, საბეჭდი ქაღალდით, ავეჯით(სკამები) უზრუნველყოფა.

საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის, სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენელთა კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა, შევიძინეთ კომპიუტერული კომპლექტები, ლეპტოპები, პრინტერები, რომლებიც გადანაწილდა თანამშრომლებზე მოთხოვნების შესაბამისად, ხორცილდება ყოველდღიურად თანამშრომლების კარტრიჯებით უზრუნველყოფა.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილებამ მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაიწყო და დღემდე ანხორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების აღრიცხვას და დასტიკვრებას, რაც ითვალისწინებს წლის ბოლოს სრული ბაზის არსებობას გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ფლობის შესახებ.

აღნიშნული განყოფილება ანხორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ავტოპარკის კონტროლს. ამჟამად ავტოპარკის შემადგენლობაში შედის 17 ავტომობილი: 1) KIA SELTOS WS - 292- WW 2) RENAULT DUSTER BB --238 BC 3) FIAT TIPO VV -011- EE 4) FIAT TIPO FS- 319- SS. 5) LEXUS RX330 RA-007- CH 6) VOLKSWAGEN PASSAT OG -191 -GG 7) BMW X5 AD-- 717 AC. 8) MITSUBISHI L200 SS -108 -SO. 9) LEXUS GX 470 QC -929- CC. 10) TOYOTA HILUX II -110- JJ 11) FIAT TIPO FF -732 -UU 12) FIAT TIPO FF -742- UU 13) FIAT TIPO FF 738 UU. 14) RENAULT DUSTER BB 239 BC. 15) RENAULT DUSTER PP 594 FF 16) RENAULT Sandero DD 045 YD. 17) FORD RANGER BB 207 BC.

ასევე ხორციელდება ყოველთვიურად ავტომობილების სადაზღვევო მომსახურება: 2022 წლის ნოემბრის თვეში ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანდა ავტომობილი Lexus RX 330 სახ.ნომერი QC-919-CC. ავტომობილი აღარ ექვემდებარებოდა აღდგენას, შესაბამისად 2022 წლის დეკემბრის თვეში კომპანია სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევის“ მიერ მოხდა აღნიშნული ავტომობილის საბაზრო ღირებულების 22500 ლარის იდენტური ავტომობილის VOLKSWAGEN PASSAT-ის (გამოშვების წელი 2014) გადმოცემა. ასევე მოხდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზიანებული ავტომობილებების RENAULT DUSTER სახ.ნომერი BB 239 BC და VOLKSWAGEN PASSAT სახ.ნომერი OG 191 GG და გაურეკვეველ ვითარებაში დაზიანებული ავტომობილის RENAULT SANDERO სახ.ნომერი DD 045 YD დაზიანებების შესაბამისი თანხების გადმორიცხვა.

აღნიშნულ ავტომობილებს მიეწოდებათ საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული ლიმიტების შესაბამისად ყოველთვიურად ბენზინის და დიზელის საწვავი.

ხორცილდება ავტოპარკის ავტომობილებით სარგებლობის ყოველდღიური მონიტორინგი, ტექნიკური მომსახურება -შეკეთება საჭიროებისამებრ;

აღნიშნული განყოფილება ასევე უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის მერიის და მისი იურიდიული პირების ბალანსზე არსებული ავტომობილების ნავიგაციის და ადგილმდებარეობის კონტროლს. (GPS მომსახურება),აწვდის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურს მონაცემებს მოთხოვნის შესაბამისად, რითაც შესაძლებელია ავტომობილის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ნებისმიერ დროს. იცავს თანამშრომლების უსაფრთხოებას, ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობას , და ანხორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილებაში დასაქმებულია განყოფილების ხელმძღვანელი , ხუთი საჯარო მოხელე და ერთი ხელშეკრულებით აყვანილი სპეციალისტი. ყველა სპეციალისტი მუშაობს სამუშაო აღწერილობით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად. ამზადებენ შემოსული წერილების პასუხად მოხსენებითი ბარათებს, წერილებს, მიღება-ჩაბარების აქტებს განყოფილების საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე; ანხორციელებენ მომსახურებების/ პროდუქციის ინსპექტირებას და კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილებას შესრულებული აქვს :

- შემოსული კორესპონდენცია - 126
- შიდა კორესპონდენცია -1211
- შესრულებული კორესპონდენცია -120

### **მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება შედგება 3 საშტატო ერთეულისგან, განყოფილება მის საქმიანობას ანხორციელების სამსახურის დებულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 მარტის N12 დადგენილებით განყოფილებას დამატებით დაემატა ისეთი ფუნქციების შესრულება, როგორცაა: საქონლის ადგილწარმოშობის, ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის, პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტიური ცხოვრების, მამკვიდრებლის უძრავი ქონების ფლობის შესახებ მერის მიერ გასაცემი ცნობების პროექტების შემუშავება, მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. განყოფილების მიერ მზადდება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის სააგენტოდან შემოსულ წერილებზე პასუხების პროექტები.

განვლილ პერიოდში განყოფილების თანამშრომლების მიერ გაწეულია მნიშვნელოვანი სამუშაო, როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ კორესპონდენციის შესწავლის და მათზე დროული რეაგირების მიმართულებით, ასევე მერიის ხელმძღვანელობის და ზემდგომი სამსახურებიდან მიღებული დავალებების შესრულების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში სულ განყოფილებაში შემოსულია და შესაბამისი რეაგირებაა მოხდენილი, ან ადრესატებზეა გადაწერილი 4435 ერთეული წერილი, განცხადება და სხვა სახის კორესპონდენცია, მათ შორის ძირითადი რაოდენობა არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან შემოსული განცხადებები, რითიც ძირითადად ითხოვენ: ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან და შუამდგომლობას, „სოკარ ჯორჯია გაზთან“ ბუნებრივი აირის შეყვანის თაობაზე, „ეპ ჯორჯია მიწოდებასთან“ ელექტრო ენერჯის შეყვანის თაობაზე, წყალმომარაგების კომპანიასთან სასმელი წყლის შეყვანის თაობაზე. საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში ფაქტიურად ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვა. შემოსული წერილების ძირითადი რაოდენობა მოდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან შემოსულ წერილებზე, რითიც ძირითადად გვაწოდებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის სახვადასხვა სოფლებში და ქალაქ გორში დაგეგმილ, მოსახლეობისთვის დასარეგისტრირებელ მიწის ნაკვეთების დათვლიერების შესახებ.

განყოფილების მიერ, კოორდინაცია უკეთდება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე, საშემე მერქნის დახმარების მიღების მსურველ ბენეფიციართა ფაქტიური მდგომარეობის შესწავლას და დაზუსტებული სიების შედგენას, რომლებიც შემდგომ გადაეგზავნება „კეთილმოწყობის სააგენტოს“ შესაძლო დახმარების გაწევის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის, 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად, 2023 წლისათვის გორის მუნიციპალიტეტის 112 დასახლებულ პუნქტზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი იქნა 1 596 000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით განყოფილების მიერ, გორის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში, რომელზეც გამოყოფილი იყო თანხა, კოორდინაცია გაუკეთდა ადგილობრივ მოსახლეობასთან გასამართ შეხვედრებს. გაიმართა კონსულტაცია (47 სოფელი) ან დასახლების საერთო კრება (65 სოფელი).

აღნიშნულ კონსულტაციებზე და კრებებზე, მოსახლეობის უმრავლესობის აზრის და სურვილის გათვალისწინებით შერჩეული იქნა ყველა სოფელში განსახორციელებელი პროექტი, რომლებიც განყოფილების მიერ შეტანილია შესაბამის ოქმებში და გადაცემულია კომპეტენტურ სამსახურებზე შემდგომი რეაგირებისათვის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხრიდან, ცნობების მიღების, თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, განყოფილების სპეციალისტების მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადებულია: სააოკუპაციო გამყოფ ხაზთან ფაქტობრივი ცხოვრების შესახებ, გორის მუნიციპალიტეტში კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების შესახებ, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მამკვიდრებლის კუთვნილი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, ხე-ტყის ადგილწარმოშობის შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილწარმოშობის შესახებ, ცნობების პროექტები, სულ - 1413 ერთეული.

დანართი 1 - ინფორმაცია 2022 წლის დეკემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე გორის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მონაწილეობით სასამართლოებში წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით

N	დავის მხარეები		დავის საგანი	დავის საგნის ღირებულება	რა შედეგით დასრულდა, რომელი ინსტანციაშია, მხარემ გაიხმო თუ არა სარჩელი	რომელი მხარის სასარგებლოდ დასრულდა დავა	შენიშვნა
	მოსარჩელე	მოპასუხე					
1	შპს ალონისი	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა	თანხის დაკისრება – 232,744,25 ლარი; ქმედების განხორციელება - დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მიიღოს განკარგულება შპს „ალონისთან“ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე	232,744,25 ლარი	გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით შპს ალონისის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სადაო საკითხის გადაწყვეტლად დაევალა გორის მუნიციპალიტეტის მერიას საკითხის ახლიდან შესწავლა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა შპს „ალონის“-ის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 12 თებერვლის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. გორის რაიონულ სასამართლოში შპს ალონისის მიერ მოხდა სარჩელის ტრანსფორმირება. სარჩელი განსჯადობის მიხედვით გადაეგზავნა სამოქალაქო კოლეგიას.		მიმდინარე
2	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა)იპ "დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი"	იჯარის დავალიანების დაკისრება, ფართის გამოთავისუფლება;	1956 ლარი (იზრდება დროის გასვლის პროპორციულად )	პროცესი მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში		მიმდინარე



3	თენგიზ ძიმიგური	გორის მუნიციპალიტეტის მერია	გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 8 თებერვლის N04/1978 ინდ. აქტის ბათილად ცნობა და გორის მშრომელთა დეპუტატებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1957 წლის 20 დეკემბრის N329 ბრძანების და N37 ოქმის ბათილად ცნობა, ასევე , თენგიზ ძიმიგურისთვის 350 კვ.მ. ნაკვეთის მიკუთვნება.		გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით თენგიზ ძიმიგურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თენგიზ ძიმიგურის საკასაციო საჩივარი. მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
4	შ.პ.ს „გრანდ-ემი“	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „გრანდ ემ“-სა და გორის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული 2010 წლის 11 მარტის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღდგენა უძრავ ქონებაზე ს/კ N66.45.26.019	2017 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით სავარაუდოდ არის 7426897 (შვიდი მილიონ ოთხას ოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდაჩვიდ მეტი) ლარი	1-ლი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, ბათილად ცნო შპს „გრანდ ემ“-სა და გორის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული 2010 წლის 11 მარტის ჩუქების ხელშეკრულება და შპს "გრანდ ემი" ცნობილ იქნა უძრავი ქონების (ბეველი სკ N66.45.26.019; საკადასტრო კოდის - 66.45.26.217 შემადგენელი ნაწილი) მესაკუთრედ. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა შპს "სგრანდ ემის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 5000 ლარის შპს "გრანდ ემის სასარგებლოდ გადახდა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში შპს "გრანდ ემმა" უარი თქვა სარჩელზე, შესაბამისად სარჩელზე შეწყდა საქმისწარმოება.	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა

5	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს დია	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება	2850	პირველი ინსტანციის სასამართლოშია	მიმდინარე
6	გურამ ნოზაძე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები, გორის მუნიციპალიტეტის მერია	1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის N1-1/2280 ბრძანება გორის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გორი-ცხინვალის გზ. მე-2 კილომეტრზე მდებარე 29500 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გადაცემის თაობაზე. 2. ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გორის მუნიციპალიტეტისა და საფეხბურთო კლუბ "დილას" შორის 2012 წლის 23 თებერვლის N5 უზუფრუქტის ხელშეკრულება. 3. ბათილად იქნეს ცნობილის საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების 2005 წლის 25 ოქტომბრის N2-1 დადგენილების მე-2 პუნქტის დანართი N2-ის ის ნაწილი, სადაც სახელმწიფოსთვის გადასაცემი ქონების ჩამონათვალი მითითებულია გორის სტადიონი	15000 ლარი	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივლისის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა გურამ ნოზაძის სარჩელი საქართველოს პროფესიული გაემირების გაერთიანების მიმართ გაერთიანების ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ 2005 წლის 25 თებერვლის N2-1 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 მარტის განჩინებით გურამ ნოზაძის სარჩელზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე შეჩერდა საქმის წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის წარმოებაში არსებულ N2/25364-19 (მოსარჩელე გურამ ნოზაძე, მოპასუხე საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების წინააღმდეგ) საქმის წარმოების დასრულებამდე.	მიმდინარე
7	იზოლდა გოცირიძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. (სასარჩელო მოთხოვნა: ბათილად იქნას ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 5 თებერვლის 573 ბრძანება „უნებართვო რეკონსტრუქციის გამო დაჯარიმების შესახებ“	2000	მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა პირველ ინსტანციაში. გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება უნებართვო რეკონსტრუქციის გამო დაჯარიმების შესახებ. 08.07.2021 წელს გორის მუნიციპალიტეტის მერია გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.	მიმდინარე

8	გაიოზ პაპუაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 16 სექტემბრის N2849 აქტის ბათილობა 21.76 მ კვ ფართის ნაწილში.		<p>მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრვ დაკმაყოფილდა პირველ ინსტანციაში 2020 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით. ბათილად იქნა ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2009 წლის 16 სექტემბრის N2849 ინდ აქტი და დაეკალა სჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახლიდან შეესწავლა სადაო უძრავ ქონებაზე გაიოზ პაპუაშვილის უფლების არსებობა. 2021 წლის 18 მარტს გაიოზ პაპუაშვილის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავა გორის რაიონულ სასამართლოს,</p>		მიმდინარე
9	ნუგზარ ჯანუაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის აღიარება. დადებულად ჩაითვალოს 1992 წლის 15 ივლისს ნუგზარ ჯანუაშვილსა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან N1 საბინაო საექსპლოატაციო ორგანიზაციას შორის დადებული N1-857 ხელშეკრულება		მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
10	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ემ ბი სი	პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება. 18480 ლარი	18480 ლ	სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოშია		მიმდინარე

11	ნუკრი მამესწარაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმ.სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ნუკრი მამესწარაშვილის შორის 2012 წლის 06 ნოემბერს გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულება შეწყდა, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილით აცნობა, რომ მას ვადამდე შეუწყდა 2012 წლის 06 ნოემბერს გაფორმებული № 14 და № 15 აღნაგობის ხელშეკრულებები, სწორედ აღნიშული წერილის შემდეგ დაიფარა დავალანება. შესაბამისად, ნუკრი მამესწარაშვილი ითხოვს გაუქმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბრანება N867-ს და N863-ს, ძალაში დარჩეს გაფორმებული ხელშეკრულებები და დაუბრუნდეს მიწის ნაკვეთები.		მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
12	დიმიტრი შარიფოვი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; საცხოვრებელი ბინაზე გაცემული საკუთრების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
13	ალექსი მერებაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა, მოსარჩელე ითხოვს ატენის ადმინისტრაციულ ერთეულსი მერის წარმომადგენლის ცნობის ბათილად ცნობას		სარჩელი მეორე ინსტანციაშია.		მიმდინარე
14	გურამ ნადირაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა. შინდისის თემის საკრებულოს 2007 წლის ცნობების ბათილობა.		პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმე გასაჩივრდა მეორე ინსტანციაში.	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიმდინარე

15	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „მ-პროექტი“	გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მ-პროექტი“-ს შორის 2018 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N85 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 22,400 ლარის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება.	22,400 ლარი	საქმე მიღებულია წარმოებაში და პროცესი აღნიშნულ სამოქალაქო დავაზე ჯერ არ ჩანიშნულა.	მიმდინარე
16	გორის მუნიციპალიტეტის მერია	კობა ყაულაშვილი	2016 წლის 09 მარტის ფ/პ კობა ყაულაშვილის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დავალიანების და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება. მიჯარის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების პირობა საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით, კერძოდ, მას 2021 წლის 14 ივლისის მდგომარეობით ერიცხება დავალიანება გადასახდელი თანხის 13401 ლარის ოდენობით.	13 401 ლარი	საქმე მიღებულია წარმოებაში და პროცესი აღნიშნულ სამოქალაქო დავაზე ჯერ არ ჩანიშნულა.	მიმდინარე

